„დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
_________________ ს. ტუღუშიძე
24 ___ 03 ___ 2025
დადგენილება № 05/01

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ატესტაციის ჩატარების წესი

ძირითადი ასლი

1. სარჩევი

1. სარჩევი....2
2. ცვლილებები....3
   2.1 ცვლილებების ისტორია....3
3. მოქმედი გვერდების სია....4
4. დოკუმენტაციის კონტროლი....5
5. ძირითადი ნაწილი....6
   - მუხლი 1. რეგულირების სფერო....6
   - მუხლი 2. ზოგადი დებულება....6
   - მუხლი 3. ატესტაციის მიზნები....6
   - მუხლი 4. ატესტაციის ჩატარების პროცედურა და კრიტერიუმები....6
   - მუხლი 5. საატესტაციო კომისია....7
   - მუხლი 6. კომისიის წევრის აცილება....7
   - მუხლი 7. საატესტაციოდ წარსადგენი დოკუმენტაცია....7
   - მუხლი 8. საატესტაციო შეფასება....8
   - მუხლი 9. ატესტაციის შედეგები....10
   - მუხლი 10. ატესტაციის შედეგების გასაჩივრება....11

2. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				**დამატებული გვერდი**			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

2.1 ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	**ცვლილების საფუძველი**	**შეცვლილი გვერდები**	**თარიღი**	**ცვლილების ინიციატორი**

3. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
-	1	0	თებერვალი 2025					
1	2	0	თებერვალი 2025					
2	3	0	თებერვალი 2025					
3	4	0	თებერვალი 2025					
4	5	0	თებერვალი 2025					
5	6	0	თებერვალი 2025					
5	7	0	თებერვალი 2025					
5	8	0	თებერვალი 2025					
5	9	0	თებერვალი 2025					
5	10	0	თებერვალი 2025					
5	11	0	თებერვალი 2025					

4. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

5. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი შემუშავებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) მოქმედი მარეგულირებელი აქტების საფუძველზე და ამ წესით რეგულირდება შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენის მოთხოვნები და პროცედურები.

მუხლი 2. ზოგადი დებულება

1. ატესტაცია გულისხმობს დასაქმებულის პროფესიული ჩვევებისა და კვალიფიკაციის პერიოდულ შემოწმებასა და შესაბამისობის დადგენას დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებთან.
2. ატესტაციას დაქვემდებარებული დასაქმებულები არიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.
3. ატესტაციას ექვემდებარება დასაქმებული, თანამდებობის დაკავებიდან ყოველ შემდგომ მე-5 წელს.
4. ატესტაციის ჩატარების პრინციპებია: სამართლიანობა, გამჭვირვალობა, თანასწორობა, მიუკერძოებლობა, კანონიერება, ობიექტურობა, საჯაროობა, არადისკრიმინაციულობა, კოლეგიალურობა.
5. ატესტაციის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მუხლი 3. ატესტაციის მიზნები

ატესტაციის მიზნებია:

1. ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან;
2. პერსონალის მიერ საატესტაციო პერიოდში შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობის შეფასება;
3. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა;
4. პერსონალის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა;
5. პერსონალის პროფესიული ზრდის სტიმულირება.

მუხლი 4. ატესტაციის ჩატარების პროცედურა და კრიტერიუმები

1. ატესტაციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის ბრძანებას გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი. ბრძანებაში განისაზღვრება საატესტაციო პირთა სია, ატესტაციისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია, ატესტაციის ვადები და პირობები.
2. ყოველი კონკრეტული ატესტაციისთვის იქმნება საატესტაციო კომისია, რომლის შემადგენლობას (თავმჯდომარე, წევრები, მდივანი), მუშაობის წესს, ვადებსა და პირობებს, ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი.
3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება გამოიცემა ატესტაციამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება ატესტაციას დაქვემდებარებულ დასაქმებულს.

4. საჯაროობის პრინციპის დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ განთავსებას უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 5. საატესტაციო კომისია

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები. საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე და წევრი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, ასევე მოწვეული სპეციალისტი.
2. დაუშვებელია საატესტაციო კომისიის წევრი იყოს ატესტაციას დაქვემდებარებული წევრი.
3. კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისაგან (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისაგან, გარდა კომისიის მდივნისა).
4. კომისიის მდივანი იბარებს საატესტაციო დოკუმენტაციას და აგრეთვე, აწარმოებს კომისიის სხდომათა ოქმებს.
5. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
6. საატესტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ქულათა სისტემის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს კანდიდატთან გასაუბრება.
7. გასაუბრების შედეგად გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
8. ატესტაციაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ატესტაციას დაქვემდებარებული პირის დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამისობის თაობაზე.
9. საატესტაციო კომისია ატესტაციის შედეგებს წარუდგენს რექტორს.

მუხლი 6. კომისიის წევრის აცილება

1. კომისიის წევრი ვალდებულია, ატესტაციის დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. ის, შესაბამისად, ვერ მიიღებს მონაწილეობას ატესტაციას დაქვემდებარებული პირების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში.
3. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული, კომისიისათვის ცნობილი გახდება ატესტაციის მიმდინარეობისას, კომისიის შესაბამისი წევრის მიერ ატესტაციას დაქვემდებარებული პირის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.
4. პირის კომისიიდან გამოყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

მუხლი 7. საატესტაციოდ წარსადგენი დოკუმენტაცია

ატესტაციას დაქვემდებარებულმა პირმა საატესტაციოდ უნდა წარადგინოს:
1. განცხადება საატესტაციო კომისიის სახელზე;
2. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის/აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (იმ მიმართულებით, რაშიც მოხდება მისი შეფასება ქულებით, მე-8 მუხლის შესაბამისად).

მუხლი 8. საატესტაციო შეფასება

კომისია განიხილავს და აფასებს აკადემიურ/სამეცნიერო თანამდებობაზე მყოფი პირის განვლილი 5 წლის მანძილზე განხორციელებულ პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობას (თანამდებობის დაკავებიდან / წინა ატესტაციიდან).

ატესტაციის მიზნებისთვის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით (შესაბამისი ქულების მინიჭებით):

1. სასწავლო პროგრამის შემუშავება
2. ხელმძღვანელი - 5 ქ.
3. ჯგუფის წევრი -3 ქ.

შენიშვნა: საბჭოზე პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში

4. **ახალი სილაბუსების შემუშავება** (ფაკულტეტის და აკრედიტაციის საბჭოებზე პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში)
5. საბაკალავრო - 3 ქ.
6. სამაგისტრო -4 ქ.
7. სადოქტორო- 5 ქ.
8. სასწავლო ლიტერატურის შექმნა
9. სახელმძღვანელო
   ა) 100 გვერდამდე - 4 ქ.
   ბ) 100 გვერდი და მეტი - 6
10. დამხმარე სახელმძღვანელო
   ა) 100 გვერდამდე - 3 ქ.
   ბ) 100 გვერდი და მეტი - 5 ქ.
11. მეთოდური მასალები
   ა) 100 გვერდამდე - 2 ქ.
   ბ) 100 გვერდი და მეტი 4 ქ.
12. ნათარგმნი ლიტერატურა
   ა) 100 გვერდამდე - 3 ქ.
   ბ) 100 გვერდი და მეტი - 4 ქ.

შენიშვნა: გამოსაცემ მასალაზე ფაკულტეტის საბჭო წინასწარ ამტკიცებს ლიტერატურის შინაარსს, შემდეგ გამოსაცემ მასალას ჩაუტარდება ექსპერტიზა და რეცენზირების საფუძველზე საბჭო მისცემს რეკომენდაციას დასაბეჭდად.

13. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა
14. 20 ათას ლარამდე ღირებული საგრანტო პროექტი
   ა) ხელმძღვანელი - 9 ქ.
   ბ) შემსრულებელი - 5 ქ.
15. 100 ათას ლარამდე ღირებული საგრანტო პროექტი
   ა) ხელმძღვანელი - 15 ქ.
   ბ) შემსრულებელი -10 ქ.
16. 100 ათას ლარზე მეტი ღირებული
   ა) ხელმძღვანელი - 20 ქ.
   ბ) შემსრულებელი -15 ქ.
17. საპატენტო -საგამომგონებლო საქმიანობა (საერთაშორისო)
   ა) ჯგუფის ხელმძღვანელი -15 ქ.
   ბ) ჯგუფის წევრი - 10 ქ.
18. საპატენტო -საგამომგონებლო საქმიანობა (ეროვნული)
   ა) ჯგუფის ხელმძღვანელი -10 ქ.

ბ) ჯგუფის წევრი - 5 ქ.

19. სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება
    ა) მაღალრეიტინგიან ჟურნალებში - 10 ქ.
    ბ) საქართველოს რეფერირებად ჟურნალებში - 6 ქ.
20. მონაწილეობა სამეცნიერო - ტექნიკურ კონფერენციებში, შეხვედრებში
21. საერთაშორისო კონფერენციებში
    ა) მოხსენებით გამოსვლა - 5 ქ.
    ბ) მონაწილეობის მიღება - 3 ქ.
22. ადგილობრივ კონფერენციებში
    ა) მოხსენებით გამოსვლა 3 ქ
    ბ) მონაწილეობის მიღება -2 ქ.
23. სამეცნიერო კვლევითი ხასიათის ლიტერატურის შექმნა
24. მონოგრაფია
    ა) საერთაშორისო დონის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი
        50 გვერდამდე - 10 ქ.
        100 გვერდამდე - 14 ქ.
        200 გვერდამდე - 16 ქ.
        400 გვერდამდე - 18 ქ.
    ბ) ადგილობრივი გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი (ავტორიზებული რეცენზიების თანხლებით)
        50 გვერდამდე - 7 ქ.
        100 გვერდამდე -9 ქ.
        200 გვერდამდე - 12 ქ.
        400 გვერდამდე - 14 ქ.
25. სამეცნიერო - აკადემიური მოღვაწეობა
26. სტუდენტების სასწავლო -სამეცნიერო ხელმძღვანელობა
    ა) ბაკალავრის - 2 ქ.
    ბ) მაგისტრატურის - 3 ქ.
    გ) დოქტორანტის -4 ქ.
27. გრანტის შემთხვევაში
    ა) მაგისტრატურის - 5 ქ.
    ბ) დოქტორანტის -8 ქ.
28. აკადემიური გამოცდილება - უნივერსიტეტებში და საწარმოებში სამეცნიერო-პედაგოგიური - თითოეული ვიზიტი (საჯარო ლექცია, კვლევა)
    ა) უცხოეთში - 5 ქ.
    ბ) ადგილობრივ დაწესებულებებში - 3 ქ.
29. პროფესიული ორგანიზაციების წევრობა
    ა) საერთაშორისო - 3 ქ.
    ბ) ადგილობრივი - 2 ქ.
30. საკონსულტაციო - საექსპერტო-სარედაქციო მოღვაწეობა
31. კონსულტანტობა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით -2 ქ.
32. კონსულტანტობა სადისერტაციო ან სხვა კვლევითი საკითხების შესრულებისას -2 ქ.
33. ექპერტობა მიწვევით -3 ქ.
34. სახელმძღვანელოს, კრებულის, ჟურნალის, მონოგრაფიის რედაქტორობა - 3 ქ.
35. სამეცნიერო წერილის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს რეცენზენტობა -2 ქ.

შენიშვნა: რეცენზიას ან სხვა სახის ანგარიშს ამტკიცებს ის ორგანიზაცია, სადაც ეს დოკუმენტი გაფორმდა.

36. კვალიფიკაციის მიმნიჭებელ საბჭოში მოღვაწეობა

37. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიაში მონაწილეობა
    თავმჯდომარე - 2 ქ. (ერთი სხდომა)
    წევრი - 1 ქ. (ერთი სხდომა)
38. ფაკულტეტის საბჭოს წევრობა
    თავმჯდომარე - 2 ქ. (ერთი სხდომა)
    წევრი - 1 ქ. (ერთი სხდომა)
39. სადისერტაციო საბჭოს წევრობა
    თავმჯდომარე - 4 ქ. (ერთი სხდომა)
    მოადგილე - 3 ქ. (ერთი სხდომა)
    სწავლული მდივანი - 3 ქ. (ერთი სხდომა)
    წევრი - 2 ქ. (ერთი სხდომა)
40. აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი საკონკურსო კომისიისა და სხვა სხდომები
    თავმჯდომარე -2 ქ.
    წევრი - 1 ქ.
41. შეფასებები, აღიარება
42. მეცნიერების და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის მოპოვება - 20 ქ.
43. მეცნიერების და ტექნიკის დარგში სახელობითი პრემიის მოპოვება - 15 ქ.
44. უცხოური სერტიფიკატის (დიპლომის) მოპოვება - 5 ქ.
45. ადგილობრივი სამთავრობო, დარგის სერტიფიკატის მოპოვება -4 ქ.
46. ატესტაციას დაქვემდებარებულმა პირმა ქულების საერთო რაოდენობა უნდა დააგროვოს წარმოდგენილი 8 კომპონენტიდან მინიმუმ 4 კომპონენტით.

მუხლი 9. ატესტაციის შედეგები

1. ატესტაციის შედეგად, კომისიის მიერ ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიმართ მიიღება სამი სახის გადაწყვეტილება:

ა) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს;
ბ) არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს;
გ) ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს.

2. ქულათა შესაბამისობა კომისიის გადაწყვეტილებასთან:

ა) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს
- პროფესორის/მთავარი მეცნიერ თანამშრომლისათვის - 71 ქულიდან ზემოთ;
- ასოცირებული პროფესორისათვის - 61 ქულიდან ზემოთ;

ბ) ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს
- პროფესორის/მთავარი მეცნიერ თანამშრომლისათვის - 61 ქულიდან 71 ქულამდე;
- ასოცირებული პროფესორისათვის - 51 ქულიდან 61 ქულამდე;

გ) არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს
- პროფესორის/მთავარი მეცნიერ თანამშრომლისათვის - 60 ქულამდე;
- ასოცირებული პროფესორისათვის - 50 ქულამდე;
- 1 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ ვერ მიიღო ამ მუხლის მეორე პუნქტის ა ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასება.

3. ატესტაციის შედეგების საფუძველზე კომისია თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით ადგენს დასკვნას, რომლის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესორთან/ასოცირებულ პროფესორთან/უფროს მეცნიერ თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან გაგრძელების თაობაზე;

4. **,,პერსონალი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას“** გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესორთან/ასოცირებულ პროფესორთან/უფროს მეცნიერ თანამშრომელთან გაგრძელდება შრომითი ურთიერთობა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
5. **,,პერსონალი ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას“** გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს ეძლევა 1 წლის ვადა გააუმჯობესოს საკუთარი შედეგები ატესტაციის შეფასების კრიტერიუმებში. 1 წლის შემდეგ კანდიდატი 3 სამუშაო დღის ვადაში ხელახლა წარუდგენს კომისიას საკუთარი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის/აქტივობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. დოკუმენტების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, კომისია ხელახალი განხილვის შემდეგ ადგენს დასკვნას: ა) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს; ბ) არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებს. აღნიშნულის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი 2 სამუშაო დღის ვადაში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან გაგრძელების თაობაზე;
6. **,,პერსონალი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას“** გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესორთან/ასოცირებულ პროფესორთან/უფროს მეცნიერ თანამშრომელთან შეწყდება შრომითი ურთიერთობა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
7. ატესტაციის შედეგად თანამდებობიდან განთავისუფლებული პირი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სხვა აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

მუხლი 10. ატესტაციის შედეგების გასაჩივრება

1. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება, მისი გამოტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, შესაძლებელია გასაჩივროს ატესტაციის მონაწილემ საპრეტენზიო კომისიაში.
2. საპრეტენზიო კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით, საატესტაციო კომისიის შექმნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში და მისი დაკომპლექტება, მუშაობის წესი და პირობები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
3. საპრეტენზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს საატესტაციო კომისიის წევრი.
4. ატესტაციის შედეგები და სააპელაციო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება საჯაროა.
5. სააპელაციო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., #6).